USAID
ამერიკელი ხალხისგან
USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

ბიულეტენი

გამოცემა #3
თებერვალი – სექტემბერი 2023

მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერა

სემინარი მოსამართლეებისთვის სასამართლოებში ბავშვებთან ურთიერთობის შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ სასამართლოში ბავშვებთან ურთიერთობის საკითხების განსახილველად სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეთა თხუთმეტი მოსამართლე შეკრიბა, კერძოდ - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან, ბათუმის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან და ხელვაჩაურის და ოზურგეთის რაიონული სასამართლოებიდან.

სემინარში ასევე მონაწილეობდნენ მოსამართლეები, რომლებიც სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელშეწყობით 2022 წლის სექტემბერში იმყოფებოდნენ აშშ-ში ბავშვის უფლებების შესახებ დაგეგმილი სასწავლო ვიზიტის ფარგლებში.

იმისთვის რომ, მოსამართლეებს შესძლებოდათ ღრმად გასცნობოდნენ სემინარზე განხილულ თემას და მოეძებნათ თანამედროვე და პრაქტიკული გზები ამ სფეროში პრობლემური საკითხების გადასაჭრელად, გადაწყდა სემინარში, როგორც ბავშვთა ქართველი ფსიქოლოგის, ასევე ამერიკელი მოსამართლის მონაწილეობა. ამ მიზნით შეირჩნენ გამოცდილი ფსიქოლოგი **ეკატერინე თავართქილაძე** და ამერიკელი მოსამართლე **ჯეიმს რედვაინი,** რომელიც მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში გრძელვადიან მენტორობის მისიას ახორციელებს.

სემინარის თემები მოიცავდა: ფსიქოლოგიური ასპექტების მნიშვნელობას ბავშვთა მონაწილეობით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში; ბავშვების ფსიქოლოგიურ სირთულეებს და სისტემურ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის რეაქციაზე საოჯახო დავების დროს; ბავშვის თვალით დანახულ სასამართლო პროცესს; სასამართლოში ბავშვებთან და შშმ სტატუსის მქონე ბავშვებთან კომუნიკაციის თავისებურებებს; არასრულწლოვანზე მორგებული მართლმსაჯულების ფსიქოლოგიურ საკითხებს.

აშშ-ს სასწავლო ვიზიტის მონაწილეებმა თავიანთ კოლეგებს გაუზიარეს ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია ბავშვებთან სასამართლოში კომუნიკაციისა და არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის ამერიკული პრაქტიკის შესახებ.

სემინარების სერია რეგიონული სასამართლოს მოსამართლეებისთვის და სასამართლო პერსონალისთვის ბავშვთა უფლებების შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან პარტნიორობით, ჩაატარა სემინარი ბავშვის უფლებების შესახებ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეებისთვის და რეგიონული სასამართლოების პერსონალისთვის.

11-12 თებერვალს, სამი ექსპერტი/სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები - **თამარ ალანია, თამარ ონნიანი** და **დიანა ბერეკაშვილი** - იმერეთის რეგიონისთვის ტრენინგების ჩასატარებლად ეწვივნენ ქუთაისს, სადაც სამუშაო შეხვედრას მოსამართლეები (ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან; ასევე სამტრედიის, ზესტაფონისა და ამბროლაურის რაიონული სასამართლოებიდან) და მოსამართლეთა თანაშემწეები (თერჯოლის, ხარაგაულისა და ხონის მაგისტრატი სასამართლოდან; ზესტაფონის, საჩხერისა და სამტრედიის რაიონული სასამართლოებიდან; და ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოებიდან) ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე განხილული მთავარი თემები იყო: ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი, ბავშვის კანონიერი და პროცედურული წარმომადგენლობა, ბავშვის ოჯახებისგან განცალკევება და ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა. ყველა ეს საკითხი იდენტიფიცირებული იყო, როგორც პრობლემური და აღინიშნა პრაქტიკაში სხვადასხვა სასამართლოებს შორის საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა.

სემინარი სასამართლოსა და საზოგადოების ჩართულობაზე ახალციხის რაიონული სასამართლოსთვის

11-12 თებერვალს, ახალციხის რაიონული სასამართლოს თანამშრომლებმა, მათ შორის მოსამართლეებმა, მონაწილეობა მიიღეს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომელიც სასამართლოსა და საზოგადოების ჩართულობას ეხებოდა.

საზოგადოებრივი ჩართულობის საკითხებში პროგრამის მრჩეველმა, **ტიმ ბუნიევაცმა** და და ამავე მიმართულების კოორდინატორმა, **მარიამ გობრონიძემ** საინფორმაციო სესია გამართეს სასამართლო-საზოგადოების ჩართულობის პრაქტიკის შესახებ (სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე).

სემინარი დასრულდა პრაქტიკული, ჯგუფური სავარჯიშოებით, რომლის შედეგად სასამართლოს მოსამართლეებმა და თანამშრომლებმა შეიმუშავეს სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ჩართულობის გეგმა. დოკუმენტი მოიცავს სასამართლოს სამოქმედო მიზანს, აქტივობებს წინასწარ იდენტიფიცირებული საზოგადოებრივი ჯგუფების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და სასურველ შედეგებს, ასევე საჭირო რესურსებსა და დაინტერესებულ პირთა მხარდაჭერას, რომელიც საჭირო იქნება შემოთავაზებული აქტივობების განსახორციელებლად.

სემინარის მონაწილეებმა საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად მრავალი აქტივობა შეიმუშავეს, როგორიცაა დისკუსიები დაინტერესებულ მხარეებთან, ღია კარის დღეები სასამართლოში, იმიტირებული სასამართლო პროცესები, პარტნიორობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად აქტივობების

მომზადება და ა.შ., რომელთა განხორციელებასაც სასამართლო გეგმავს.

ნინო ჩიგოგა, ახალციხის რაიონული სასამართლოს მენეჯერი:

„სემინარზე განხილული ყველა საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ძალიან საინტერესო იყო წარმატებული პრაქტიკის მოსმენა მთელი მსოფლიოდან, განსაკუთრებით ავსტრალიის მაგალითები. USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩვენი სასამართლო მომავალში კიდევ უფრო მეტად იქნება საზოგადოებაზე ორიენტირებული და შეეცდება გაზარდოს სამართლებრივი ცნობიერება საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებში.“

ამერიკელი მოსამართლე ჯეიმს რედვაინი აჭარის რეგიონში მოღვაწე მოსამართლეებს და ადვოკატებს შეხვდა

ექვსთვიანი მენტორობის პროგრამის დასასრულს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეულმა ამერიკელმა მოსამართლემ, **ჯეიმს რედვაინმა** ბათუმში სამუშაო შეხვედრა (Bench-Bar) გამართა.

მონაწილეებს შორის იყვნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეები, ასევე აჭარის რეგიონში მოღვაწე ადვოკატები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას და იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის ბიუროს.

შეხვედრის მთავარი თემა სამართალწარმოების მთავარ ‘აქტორებს’ შორის კონსტრუქციული დიალოგის ხელშეწყობა იყო, რათა გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების ადმინისტრირება ადგილობრივ დონეზე და დაინერგოს ახალი ინიციატივები, რაც შეამცირებს სასამართლო გადატვირთულობას.

მოსამართლე რედვაინმა გაუზიარა ქართველ კოლეგებს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ ბრძანების, მოსამზადებელ სხდომამდე შეხვედრის ჩატარების შესახებ უწყების და წინასასამართლო განრიგის ნიმუშები, რომლებიც შეესაბამება ქართულ კანონმდებლობას და მათი პრაქტიკაში დანერგვა მცირედ პროცედურულ ცვლილებებს მოითხოვს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ჯუმბერ ბეჟანიძემ** მადლობა გადაუხადა მოსამართლე რედვაინს ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მის მიერ გაწეული ფასდაუდებელი და პოზიტიური საქმიანობისთვის.

„მადლობას გიხდით საქმისწარმოების ამერიკული პრაქტიკის გაზიარებისთვის. მე მიმაჩნია, რომ ქართველი მოსამართლეების და ადვოკატების ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია მოკრძალებული, პოზიტიური ცვლილებების განხორციელება ისეთ სფეროში, როგორიცაა საქმეთა მართვა.“

მოსამართლეებმა იმსჯელეს სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების საქმეების განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით, ბავშვის უფლებათა პრაქტიკის ჯგუფის მოსამართლე წევრების შეხვედრა შედგა (18-19 თებერვალი). მათ განიხილეს ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ არსებული პრაქტიკული გამოწვევები ბავშვის მშობლებისგან განცალკევების საქმეების განხილვის დროს, მათ შორის, საქმეთა განხილვის ვადები და გადასინჯვის მექანიზმები ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ და კოდექსის ამოქმედებამდე სახელმწიფო ზრუნვაში გადაცემული ბავშვების საქმეების განხილვის პრაქტიკა.

ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე მომხსენებლები იყვნენ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, **თამარ ონიანი** და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, **მიხეილ ბებიაშვილი.** სადისკუსიო პანელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, **შოთა გეწაძე** უძღვებოდა.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეულმა, ამერიკელმა მოსამართლემ, **ჯეიმს რედვაინმა** მონაწილეებს - ბავშვის მშობლებისგან განცალკევების საქმეების შესახებ - აშშ-ს გამოცდილება გაუზიარა.

მოსამართლე რედვაინმა აღნიშნა:

„ეს არის ტიპიური პროცესი ბავშვის ოჯახისგან განცალკევების საქმეებში ამერიკაში და ბავშვების უფლებებისა და კეთილდღეობის, აგრეთვე მშობლების უფლებების დასაცავად ეს პროცედურა არაერთ გარანტიას ითვალისწინებს. ჩემი გამოცდილებით, უვადო განცალკევება, ანუ მშობლის უფლებების ჩამორთმევა პროცენტულად იშვიათობას წარმოადგენს საოჯახო საქმეებში. ჩვეულებრივ, ფსიქოლოგისა და სოციალური სერვისების დახმარებით - რაც მოიცავს სამედიცინო, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და იურიდიულ სერვისებს - შესაძლებელი ხდება ოჯახის, როგორც ურღვევი ბირთვის შენარჩუნება.“

სასამართლოს მენეჯერებისა და აკადემიური პერსონალის სემინარი სასამართლოს ადმინისტრირების საკითხებზე

სასამართლოს მენეჯერებმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსულტანტმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სისტემის სტატისტიკის დანაყოფის ხელმძღვანელებმა და სხვადასხვა უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა - USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებულ - სასამართლოს მენეჯერთა სემინარში მიიღეს მონაწილეობა.

სემინარში ჩაერთო აშშ-ს სასამართლოს მენეჯმენტის ექსპერტი, **ჯეფრი ქოლველი,** რომელმაც გამართა სესიები სასამართლოს ადმინისტრირებისა და საქმისწარმოების მართვის აქტუალურ საკითხებზე.

ბ-ნი ქოლველი არის სასამართლოს მენეჯერი დენვერის ფედერალურ საოლქო სასამართლოში, კოლორადო. იგი ამ თანამდებობას 2012 წლიდან იკავებს და მის პასუხისმგებლობაში შედის სასამართლოს ადმინისტრირების ყველა კომპონენტი. ის მჭიდროდ თანამშრომლობს თავმჯდომარესთან სასამართლოს ადმინისტრაციული და ოპერაციული საჭიროებების

მართვის მიმართულებით. გარდა ამისა, 2001-2004 წლებში ბ-ნი ქოლველი იყო სამხედრო მოსამართლე აშშ-ს საზღვაო ქვეითთა კორპუსში, სადაც ის სისხლის სამართლის საქმეებზე აშშ-ს საოლქო სასამართლოს მოსამართლის მსგავს ფუნქციებს ასრულებდა. მან საზღვაო ქვეითთა კორპუსის ბაზაზე მომხდარი დაახლოებით 300 ფედერალური დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სასამართლო პროცესი წარმართა, მათ შორის დაახლოებით 30 ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

აღნიშნული სემინარი იყო გამოცდილების გაზიარების პლატფორმა, რომლის მიზანსაც საქართველოში სასამართლოს მენეჯერების ძლიერი ქსელის შექმნა და საჭიროებებზე დაფუძნებული შესაძლებლობების განვითარებისკე მიმართული ღონისძიებების რეგულარულად განხორციელება წარმოადგენდა.

შეხვედრა ქუთაისში, სამტრედიასა და რუსთავში სასამართლო მენეჯმენტის შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეული, აშშ-ს სასამართლო ადმინისტრირების ექსპერტი **ჯეფრი ქოლველი** ქუთაისის სააპელაციო, რუსთავის საქალაქო და სამტრედიის რაიონულ სასამართლოებში იმყოფებოდა, და თითოეულ სასამართლოში რეესტრის, კანცელარიის და სასამართლოს მხარდაჭერის ოფისების მუშაობას გაეცნო. მან ქართველ კოლეგებს გაუზიარა სასამართლოს ადმინისტრირებაში დაგროვილი გამოცდილება და აშშ-ში არსებული საუკეთესო პრაქტიკა.

მოსამართლეებთან და სასამართლოს თანამშრომლებთან შეხვედრის დროს, ბ-ნმა ქოლველმა ისაუბრა სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობაზე, საქმის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად სტატისტიკის გამოყენებაზე, სამუშაოს ოპტიმალურ განაწილებაზე, სასამართლოს მიერ თარჯიმნების გამოყენებაზე, ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებულ საკითხებზე, საქმეთა მართვის პროცესის გაუმჯობესებასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ შეხვედრაზე სასამართლოს მენეჯერმა, **გიორგი ზარნაძემ** და სასამართლოს თავმჯდომარემ, **ირაკლი ბონდარენკომ** კულტურული მემკვიდრეობით დაცული სტატუსის მქონე სასამართლოს შენობის ისტორია გააცნეს სტუმარს. ვიზიტს მონაწილეებმა, დაათვალიერეს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული პალატის სასამართლო დარბაზები, ასევე არასრულწლოვანთა ოთახი, სადაც მოსამართლეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ბავშვებზე მორგებულ გარემოში.

ბ-ნი ქოლველი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის წარმომადგენლები, **ტიმ ბუნიევაცი** და **ანა შალამბერიძე** შეხვდნენ სასამართლოს მკვლევარებს და სასამართლოს თანაშემწეებს, რომლებიც ჩართულნი არიან სასამართლო გადაწყვეტილებების შემუშავებასა და საქმეთა მართვაში. ისინი ასევე შეხვდნენ კანცელარიის მენეჯერს და განიხილეს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა და სასამართლოს მიერ საქმისწარმოების სტატისტიკის გამოყენება. მსგავსი შეხვედრა გაიმართა სამტრედიის საქალაქო სასამართლოშიც, სადაც მოსამართლეებმა და თანამშრომლებმა გამოთქვეს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებულ სამომავლო სემინარებზე დასწრების სურვილი, რომლებიც სასამართლოს მენეჯმენტსა და საზოგადოებაზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებაზე იქნება ფოკუსირებული.

სასამართლოს მენეჯერმა **გურამ კორკოტაშვილმა** და თავმჯდომარემ, მოსამართლე **მამია ფხაკაძემ** სტუმრებს რუსთავის საქალაქო სასამართლოში უმასპინძლეს, დაათვალიერებინეს სასამართლოს შენობა, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დარბაზი, მედიაციის ე.წ სამკუთხა მაგიდა, ბავშვებისთვის განკუთვნილი ოთახი და დეპონირების მშვიდი ჯიხური. მათ სტუმრებს დეტალურად გააცნეს საქმეთა წარმოების თითოეული ეტაპი და ასევე გაუზიარეს სიახლეები, რამაც სასამართლო უფრო ინკლუზიური და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული გახადა.

ტრენინგი მედიაციის შესახებ მოსამართლეებისა და თანაშემწეებისთვის

3-5 მარტს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ, მედიაციის შესახებ ქუთაისის, ბათუმის, ხელვაჩაურისა და ფოთის მოსამართლეებისა და თანაშემწეებისთვის ორ პარალელურ ტრენინგს უმასპინძლა. ტრენინგზე შემდეგ საკითხებზე მიმდინარეობდა მსჯელობა: რა განსხვავებაა მედიაციასა და სასამართლო მორიგებას შორის; სხვადასხვა ეტაპები, როდესაც მოსამართლეებს საქმეების მედიაციაში გადაცემა შეუძლიათ; ფაქტორები, რაც მოსამართლეებმა და თანაშემწეებმა მედიაციაში გადასაცემი საქმეების შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ; საქმეების მედიაციაში გადაცემის ეტაპები და პროცედურები; ვინ არიან მედიატორები, როგორ ხდება მათი მომზადება და როგორ ირჩევენ მათ კონკრეტულ საქმეებზე.

მიუხედავად იმისა, რომ სესიების უმეტესობა პარალელურად მიმდინარებოდა ჯგუფებში, ყოველი დღის ბოლოს ყველა მონაწილე გაერთიანებულ სესიებს ესწრებოდა, სადაც საერთო საკითხების განხილვა და გამოცდილების გაზიარება ხდებოდა.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ერთობლივ სესიებზე წამოიჭრა, იყო ის, თუ მედიაციაზე სავალდებულო გადაცემა რამდენად ესადაგება მედიაციის ნებაყოფლობით ხასიათს. ყველაზე მნიშვნელოვანი სესია გამოცდილების გაზიარებას ეძღვნებოდა, რა დროსაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, **დარინა აბულაძემ** საქმეთა მედიაციაში გადაცემის საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაცემული ოთხი საქმიდან, სამი მოსამართლე აბულაძემ გადასცა მედიაციაში. მან აღნიშნა, რომ ყველა საქმე სავალდებულო წესით გადასცა, რადგან მხარის წარმომადგენლები მედიაციას ეწინააღმდეგებოდნენ. ამ საქმეებიდან ორი მორიგებით დასრულდა, ხოლო მესამე კვლავაც მედიაციის პროცესში იყო.

მოსამართლე აბულაძის გამოცდილება შთამბეჭდავი მაგალითია იმისა, რომ მხოლოდ საქმეთა შერჩევა და მედიაციაში გადამისამართება შეიძლება დაეხმაროს მოსამართლეებს საქმეები საზოგადოებისა და მხარეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით აწარმოონ.

ტრენინგი სასამართლო თანაშემწეებისთვის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ

11-12 მარტს, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ სასამართლო თანაშემწეებისთვის ორგანიზებული ტრენინგის მთავარი თემა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და სექსუალური შევიწროების პრევენცია იყო. ტრენინგს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ორი მოსამართლე, **თამარ ონიანი** და **გიორგი ტყავაძე** უძღვებოდნენ.

მონაწილეებმა საქართველოს კონსტიტუციით და სხვა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს, მათ შორის სექსუალური შევიწროების საკითხები სამუშაო ადგილებზე და საჯარო სივრცეში, და მართლმსაჯულების სისტემის როლი ამ კანონების ეფექტურად განხორციელებაში.

ტრენინგს ესწრებოდნენ დასავლეთ საქართველოს სასამართლოს თანაშემწეები, მათ შორის ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ზესტაფონის, სენაკისა და ოზურგეთის სასამართლოებიდან.

ქალთა უფლებების დაცვა: ადმინისტრაციული ღონისძიებები და სოციალური გარანტიები

ქალთა ისტორიის თვის ფარგლებში, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ პანელური დისკუსია გამართა (24 მარტი) თემაზე: ქალთა უფლებების დაცვა - ადმინისტრაციული ღონისძიებები და სოციალური გარანტიები.

შეხვედრაზე სასამართლო ხელისუფლების, ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების სამსახურის, სამოქალაქო საზოგადოების, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლებმა ერთობლივად განიხილეს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები, მისი სამართლებრივი დაცვისა და სოციალური პროგრამების ხელშეწყობის გზები.

დისკუსიის პირველ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, **ხათუნა ხომერიკმა** ისაუბრა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით საქართველოში მოქმედ კანონმდებლობაზე და გაანალიზა ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზები. მოსამართლემ აღნიშნა სტამბოლის კონვენციის როლი და მნიშვნელობა ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, და შეეხო დამცავი ორდერების მიმართულებით სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს ქალთა უფლებების დაცვის ჭრილში.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, **მურთაზ კაპანაძემ** დეტალურად მიმოიხილა საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მან ისაუბრა კანონის რეგულირების სფეროზე, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სასამართლო ღონისძიებებისა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამცავი ორდერების მიღების პროცედურებზე.

დისკუსიის დროს მონაწილეებმა აღნიშნეს მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ნაკლებობა.

ასევე აღინიშნა, რომ თუ სახელმწიფო შექმნიდა სათანადო სარეაბილიტაციო და კრიზისული ინტერვენციის სამსახურებს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის, ეს შესაძლებელს გახდიდა ძალადობრივი ქმედებების განმეორების თავიდან აცილებას ან მას მინიმუმამდე დაიყვანდა, განსაკუთრებით დამცავი ორდერების მოქმედების დროს. მონაწილეები თვლიან, რომ მოძალადეებისთვის პატიმრობის ნაცვლად ფსიქო-სოციალური სერვისების მიწოდებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ქალთა მიმართ ძალადობის სიხშირე.

სემინარი მოსამართლეებისთვის პროცესის შეფერხების შემცირებისთვის

25 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროცესის გაჭიანურების შემცირებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა.

პროგრამის მიერ მოწვეული ამერიკელი მოსამართლე, **ჯოზეფ ბელიპანი** - რომელიც ადრე კოლორადოს შტატის საპროცესო მოსამართლედ მუშაობდა - გაუძღვა საინფორმაციო სესიას პროცესის გადადების შემცირების ინსტრუმენტების შესახებ.

შეხვედრის დროს, თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოების მოსამართეები მცირე ჯგუფებად დაიყვნენ, რა დროსაც გონებრივი იერიშის სავარჯიშოების შედეგად, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სხვადასხვა გზები შეიმუშავეს პროცესის გაჭიანურების მიზეზების აღმოსაფხვრელად.

მოსამართლე ბელიპანიმ აღნიშნა, რომ „მოსამართლეობა ხელოვნებაა და არა მეცნიერება“, და საჭიროა კონკრეტულ საკითხზე არა მეტი დროის დახარჯვა, არამედ დროის უფრო ეფექტიანად გამოყენება. მან ასევე ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ მოსამართლეებს შეუძლიათ გამონახონ კრეატიული გზები არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში საკითხის მოსაგვარებლად და რომ არ არსებობს კონკრეტული მითითებები/წესები, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას თითოეულმა მოსამართლემ აღნიშნულთან მიმართებით.

ქართველმა მოსამართლეებმა ერთმანეთს გამოცდილება და ახალ-ახალი იდეები გაუზიარეს. მონაწილეთა ერთ-ერთი იდეა იყო თანამედროვე ტექნოლოგიების მაქსიმალურად გამოყენება, სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ე.წ. Bench-Bar-ის ფორმატის შეხვედრა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, უმასპინძლა იურისტთა შეხვედრას სადაც იმსჯელეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და არსებული გამოწვევების შესახებ.

შეხვედრაზე ადვოკატებმა და მოსამართლეებმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს: იურიდიული პირის სტატუსის გაფორმების ინსტრუმენტები, წესდების თავისუფლება და კანონით მოთხოვნილი ძირითადი საკითხები; გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ბრენდის სახელის გამოყენებასთან; კომპანიის მმართველი ორგანოს შექმნა - გაუქმების საკითხი;

საერთო კრების მოწვევის თავისებურებები; შეხვედრების ოქმების ბათილობა; ხანდაზმულობის ვადები; და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით დღემდე სულ ოთხი Bench-Bar-ის ფორმატის შეხვედრა მოეწყო, რა დროსაც მონაწილეებმა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს.

ე.წ Bench-Bar-ის ფორმატის შეხვედრა ბავშვთა უფლებებზე

4 აპრილს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭომ მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა ბავშვთა უფლებებზე, კონკრეტულად ბავშვების განცალკევებასა და წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მრგვალი მაგიდის ფორმატში ადვოკატებმა და მოსამართლეებმა, იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებთან და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების

სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, განიხილეს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევები და სამართლებრივი პრაქტიკა.

თემები მოიცავდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრას, სპეციალიზაციის სტანდარტს, სახაზინო ადვოკატის სავალდებულო ჩართვას, დროებითი აკრძალვების განხილვას მჭიდრო ვადებში, ფსიქოლოგების და სხვა საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობასა და აღნიშნულ საკითხებზე მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენების აუცილებლობას.

საქართველოს სასამართლო სისტემის მხარდაჭერა სასამართლოს საზოგადოებაზე ორიენტირებული პრაქტიკების და საზოგადოებასა და სასამართლოს შორის ჩართულობის გასაუმჯობესებლად

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ უმასპინძლა მართლმსაჯულების ინოვაციების ცენტრის (CJI) სამ საერთაშორისო ექსპერტს: **დანიელ პიუმარკს,** სასამართლოს განათლებისა და ლიდერობის მიმართულების დირექტორს; **მონიკა კრისტოფერსონს,** ეროვნული ტექნიკური დახმარების გუნდის სასამართლოს თერაპიული პროგრამების დირექტორს; **სრუთი ნარაჰარისეტის,** უფროს მკვლევარს; და მინესოტას უზენაესი სასამართლოს საპატიო მოსამართლეს **ენ მაკქიგს**, რომლებიც გაეცნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ხაშურის რაიონული სასამართლოს საქმიანობას.

26 აპრილს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში ვიზიტის დროს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის წარმომადგენლებს **თიმ ბუნიევაცს, მარიამ გობრონიძეს** და **ირინა ხახუტაიშვილს,** და CJI-ს თანამშრომლებს, სასამართლოს თავმჯდომარე **ჯუმბერ ბეჭანიძე** და მენეჯერი **ინგა ფუტკარაძე** შეხვდა. ინგა ფუტკარაძემ სტუმრებს სასამართლოს შენობა დაათვალიერებიდან და სასამართლო პროცედურების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით ვიზიტორების შეკითხვებს უპასუხა.

26 აპრილს, ამერიკელ სტუმრებს საპატიო დახვედრა მოუწყვეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოშიც, სადაც ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, **მერაბ ტურავას** და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში მთავარ მრჩეველს, **ეკატერინე მჟავანაძეს** შეხვდნენ. მრგვალი მაგიდის ფორმატში მხარეებმა მოსაზრებები გაცვალეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სასამართლოს ადმინისტრაციული მართვა, საერთაშორისო კონსტიტუციური სამართლის იურისპრუდენცია, საქმის განხილვა და საკონსტიტუციო სასამართლოსა და მისი კოლეგიების ფუნქციონირება.

28 აპრილს, ხაშურის რაიონულ სასამართლოში ვიზიტი გაიმართა. სტუმრებს სასამართლოს მენეჯერმა, **გოჩა მელიქიძემ** ინფორმაციული ტური მოუწყო, რომლის ფარგლებშიც ისინი სასამართლოს მანდატურებს, სასამართლოს რეესტრისა და კანცელარიის ხელმძღვანელებს გაესაუბრნენ. შეხვედრა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა და ტურის შემდეგ სტუმრებს სასამართლოს თავმჯდომარე, **მევლუდ ხათაშვილიც** მიესალმა.

სამუშაო შეხვედრა ბავშვთა უფლებების შესახებ რეგიონული სასამართლოების მოსამართლეებისთვის და სასამართლოს პერსონალისთვის

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან პარტნიორობით, აგრძელებს ბავშვთა უფლებების შესახებ სამუშაო შეხვედრების გამართვას რეგიონალური სასამართლოების სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეებისთვისა და სასამართლო პერსონალისთვის.

სამმა ექსპერტმა/სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ - **თამარ ალანიამ, თამარ ონიანმა** და **დიანა ბერეკაშვილმა** - სემინარები ჩაატარეს და კოლეგებთან ერთად განიხილეს ის გამოწვევები, რომლებსაც ბავშვთა უფლებების ახალ კოდექსთან დაკავშირებით აწყდებიან, და სხვადასხვა სასამართლოებში განსხვავებული პრაქტიკის არსებობის შესახებ საუბრობენ.

29-30 აპრილს ექსპერტები დასავლეთ საქართველოს ეწვივნენ. სამუშაო შეხვედრას ფოთიდან, ზუგდიდიდან, ოზურგეთიდან, სენაკიდან, ხელვაჩაურიდან და ქობულეთიდან 9 მოსამართლე და 16 მოსამართლის თანაშემწე დაესწრო.

შეხვედრების სერიას ორი მიზანი აქვს. პირველი, საერთო გამოწვევების იდენტიფიცირება ბავშვთა საქმეების განხილვის დროს. მეორე, გამოწვევების დასაძლევად რეკომენდაციების შეთავაზება მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეებისთვის, ერთიან პრაქტიკაზე შეთანხმება ან/და საჭიროების შემთხვევაში პარლამენტისთვის საკანონმდებლო ცვლილებების შეთავაზება. ვინაიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში არსებობს განსხვავებული პრაქტიკა ბავშვთა უფლებების კოდექსის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით, გამოცდილების გაზიარების მსგავსი შეხვედრები აუცილებელია, რადგან საჭიროა სასამართლოების ერთიან პრაქტიკაზე შეთანხმება.

შეხვედრაზე განხილული მთავარი საკითხები იყო ბავშვის მიერ სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემის უფლება, ბავშვების კანონიერი და პროცედურული წარმომადგენლობა, ბავშვების ოჯახებისგან განცალკევება და ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა. ყველა ეს საკითხი იდენტიფიცირებული იყო, როგორც პრობლემური და აღინიშნა პრაქტიკაში სხვადასხვა სასამართლოებს შორის საკითხისადმი უთანასწორო მიდგომა.

სამუშაო შეხვედრა მოსამართლეებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისთვის საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების შესახებ

ცხრა მოსამართლემ თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, თბილისის საქალაქო სასამართლოდან და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოდან, ასევე ხუთმა აკადემიური წრის წარმომადგენელმა სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების (PCJ) სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ორგანიზებული იყო USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ.

29 აპრილს გამართულ ღონისძიებაში ჩართული იყო სამი საერთაშორისო ექსპერტი მართლმსაჯულების ინოვაციების ცენტრიდან (CJI): **დანიელ პიუ-მარკი,** სასამართლოს განათლებისა და ლიდერობის მიმართულების დირექტორი, **მონიკა კრისტოფერსონი,** ეროვნული ტექნიკური დახმარების გუნდის, სასამართლოს თერაპიული პროგრამების დირექტორი და **სრუთი ნარაჰარისეტი,** უფროსი მკვლევარი.

მომხსენებლების მიერ განხილული თემები მოიცავდა პროცედურულ სამართლიანობას, PCJ პრაქტიკას, ტრავმის შესახებ ინფორმირებულ ზრუნვას და საზოგადოებრივ მართლმსაჯულებას. მათ ასევე ისაუბრეს პროცედურული სამართლიანობის მთავარ პრინციპებზე, სამეზობლოს წევრებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობის გზებზე, საზოგადოებრივი სერვისების გადახედვასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის ინოვაციური სტრატეგიების შემუშავებაზე.

სემინარის მეორე ნაწილი დაეთმო ბავშვთა საუკეთესო ინტერესის სტანდარტს საოჯახო სამართალში და არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ სხვა საქმეებში. მონაწილეებმა დასვეს მრავალი შეკითხვა ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე, ემოციურ კავშირებზე ბავშვსა და ნათესავებს/მზრუნველებს შორის, ფაქტორებზე, რომლებიც სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად, მშობლების ბავშვზე ზრუნვის შესაძლებლობაზე, მშობლისა და ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის საჭიროებებზე, აგრეთვე ოჯახში ძალადობის არსებობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შეხვედრა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეებსა და ბავშვთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის მოსამართლეებს შორის

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ბავშვთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრმა მოსამართლეებმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) მოსამართლეებთან, **ტიმ ეიკესა** და **ლადო ჭანტურიათან** გამათეს შეხვედრა. დისკუსია ეხებოდა პირადი და ოჯახური ცხოვრების თავისუფლებას, ბავშვთა უფლებებთან მიმართებით. შეხვედრა მართლმსაჯულების სახლის ორგანიზებითა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, **მერაბ ტურავა** და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, **ევა გოცირიძე.** მოსამართლე ჭანტურიამ წარმოადგინა ორი საქმის მიმოხილვა (ნ.წ. საქართველოს წინააღმდეგ და გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ), რომლებშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით.

მოსამართლე ეიკემ განიხილა დიდი პალატის ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა მშობლის უფლებებსა და ბავშვის უფლებებს, როგორიცაა სტრენდ ლობენი და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ და აბდი იბრაჰიმი ნორვეგიის წინააღმდეგ. მან ასევე მიუთითა პალატის გადაწყვეტილებაზე, ა.ჰ. გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა ტრანსგენდერი ქალის მშობლის უფლებებს.

მონაწილეებმა საინტერესო დისკუსია გამართეს ბავშვის მოსმენისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენის სტანდარტებზე, ასევე ეროვნული სასამართლოების მიერ ამ სტანდარტების ეფექტურად განხორციელებაზე. ხაზგასმით აღინიშნა ეროვნულ გადაწყვეტილებებში საფუძვლიანი მსჯელობის განვითარების მნიშვნელობაზე და მოსამართლეებს შორის ამ ხასიათის უფრო ხშირი დისკუსიების საჭიროების შესახებ.

მოსამართლეებმა საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს ქალ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის კონფერენციაში

ქალ მოსამართლეთა პროფესიული კომპეტენციის ამაღლებისა და უცხოელ კოლეგებთან პირდაპირი კომუნიკაციისთვის, ორი ქართველი მოსამართლე - **ეკატერინე ზარნაძე** თბილისის სააპელაციო სასამართლოდან და **თამარ ხაჟომია** თბილისის საქალაქო სასამართლოდან USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით დაესწრნენ ქალ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის კონფერენციას, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება და წელს მაროკოში ჩატარდა (11-15 მაისი, 2023).

მარაკეშში კონფერენციაზე შეიკრიბა ათასზე მეტი ქალი მოსამართლე 72 ქვეყნიდან, საქართველოს ჩათვლით. მათ იმსჯელეს იმ მიღწევებსა და გამოწვევებზე, რის წინაშეც დგანან ქალი მოსამართლეები მთელ მსოფლიოში. აქცენტი გაკეთდა ქალ მოსამართლეთა ჩართულობის გაზრდაზე ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი და სამართლიანი მართლმსაჯულების ხელშეწყობის საქმეში.

ქართულ დელეგაციაში შედიოდნენ მოსამართლე თამარ ხაჟომია, მოსამართლე ეკატერინე ზარნაძე (ქალების უფლებათა პრაქტიკის ჯგუფის წევრები), კანონის უზენაესობის პროგრამის მენეჯერი USAID/Caucasus-იდან, **რუსუდან ტაბატაძე** და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მართლმსაჯულების რეფორმის სპეციალისტი, **ეკა ონიანი.** ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სესიებში, რომლებიც ეხებოდა ევროპის, შუა აზიის და ჩრდილოეთ აფრიკის (MENA) რეგიონს. დისკუსიები ეხებოდა ქალ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობების გამოკვლევას.

მოსამართლე ხაჟომიას თქმით, კონფერენცია ფასდაუდებელი შესაძლებლობა იყო სხვა სამართლებრივი სისტემების, კულტურული მრავაფეროვნების და სხვადასხვა ქვეყნის ქალი მოსამართლეების წინაშე მდგომი გამოწვევებისა და მისწრაფებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

„კონფერენციამ ხელი შეუწყო პირადი კონტაქტების დამყარებას უცხოელ კოლეგებთან და გაგვიმყარა მოსაზრება, რომ ევროპელ ქალ კოლეგებთან უფრო მჭიდრო კავშირები უნდა დავამყაროთ. ეს მნიშვნელოვანი იყო სამართლებრივი ცოდნის გასაღრმავებლად, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან საერთო ღირებულებების აღმოსაჩენად და თვალსაწიერის გასაფართოებლად“

– განაცხადა **მოსამართლე ხაჟომიამ.**

სემინარები მოსამართლეებისთვის სასამართლოებში ბავშვებთან ურთიერთობის შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ სასამართლო პროცესებში ბავშვებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სემინარების სერია დაასრულა, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული მოსამართლეები ესწრებოდნენ. ბოლო შეხვედრას ის მოსამართლეები ესწრებოდნენ, რომლებიც პროგრამის ფარგლებში აშშ-ში განხორციელებულ სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობდნენ, და რომლებიც ბავშვთა უფლებებსა და გამოხატვის თავისუფლებას ეხებოდა.

შეხვედრას ბავშვთა ფსიქოლოგი **ეკატერინე თავართქილაძე** და ამერიკელი მოსამართლე **პეგი უოლკერი** უძღვებოდნენ. შეხვედრა რამდენიმე თემას მოიცავდა, მათ შორის ფსიქოლოგიური ასპექტების მნიშვნელობას ბავშვების საქმეებში, განსაკუთრებულ გამოწვევებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან კომუნიკაციის დროს და სასამართლო პროცესის ადაპტაციას ბავშვების ფსიქოლოგიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შეხვედრის განმავლობაში მოსამართლეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ სასამართლო დარბაზებში ბავშვებთან ურთიერთობის დროს.

ექსპერტებმა მონაწილეებს მისცეს რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ მოსამართლეებს ბავშვთან კომუნიკაციის დაწყება, ნერვიულობის შემცირება, მშობლების გავლენის აღმოფხვრა და ბავშვის ნამდვილი ინტერესების გაგება. მათ ასევე განიხილეს, თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბონ მოსამართლეებმა კითხვები, მიაქციონ ყურადღება ბავშვის რეაქციებს და მოახდინონ რეაგირება, თუ ბავშვი არ პასუხობს დასმულ შეკითხვებს.

გარდა ამისა, შეხვედრაზე ხაზგასმული იყო საზოგადოებრივ აზრსა და ბავშვის ინტერესებს შორის საზღვრების დადგენის აუცილებლობა.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეებმა შეხვედრა გამართეს გამოხატვის თავისუფლებაზე მსჯელობისთვის

გამოხატვის თავისუფლება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა დემოკრატიის, საზოგადოებრივი პროგრესის და ინდივიდის თვით-რეალიზაციისთვის. 20 მაისს, გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფის წევრებმა, მათ შორის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეებმა იმსჯელეს გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, **კელი დეგნანმა** მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა:

„საზოგადოებაში მოსამართლეები არიან მართლმსაჯულების სისტემის სახე - ადამიანს მოსამართლესთან ურთიერთობის როგორი გამოცდილება ექნება და რას ეტყვის ამის შესახებ თავის ოჯახსა და მეგობრებს კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობისთვის. თქვენ, მოსამართლეები გადამწყვეტ როლს ასრულებთ ქართული საზოგადოების მშენებლობაში. თქვენ, მოსამართლეები მრავალნაირად განსაზღვრავთ საქართველოს მომავალს. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა მოსამართლეებს რეფორმის თითოეული ტალღის ეტაპზე, რათა მართლმსაჯულების სისტემა გამხდარიყო უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულია.“

შეხვედრას 20 მოსამართლე ესწრებოდა და მათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, **თამარ ლაკერბაიასგან** და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, **შოთა გეწაძისგან.** მოსამართლეებმა კოლეგებს გაუზიარეს აშშ-ში სასწავლო ვიზიტისას მიღებული გამოცდილება. აღნიშნული ვიზიტი ძირითადად გამოხატვის თავისუფლების თემას ეხებოდა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რაზეც გამომსვლელებმა ისაუბრეს ეხებოდა გამოხატვის თავისუფლებასა და საზოგადოებაში მოსამართლეების სასიცოცხლო როლს შორის ბალანსს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, **ნინო ბაქაქურმა** და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, **ქეთევან მესხიშვილმა** ისაუბრეს იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება მოსამართლემ იგრძნოს თავისი აზრის საჯაროდ გამოხატვის მორალური ვალდებულება და როდის უნდა მოახდინოს რეაგირება სასამართლოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

უფრო ფართო სურათის წარმოსაჩენად, ნორთვესტერნის უნივერსიტეტის ლექტორმა და გამოხატვის თავისუფლების ექსპერტმა, პროფესორმა **ჯეისონ ს. დესანტომ** და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეულმა მოსამართლემ, **რობერტ ფ. კაროლანმა** წარმოადგინეს მათი მოსაზრებები და ამერიკული მიდგომა განსახილველ საკითხებზე.

სამუშაო შეხვედრა საკონსტიტუციო სასამართლოს სამუშაო პროცესის გასაუმჯობესებლად

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა (31 მაისი - 1 ივნისი) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისა და იურისტების მონაწილეობით. შეხვედრამ სასამართლოს მოსამართლეებსა და აპარატის თანამშრომლებს საშუალება მისცა განეხილათ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საქმეთა განხილვის განრიგის შედგენა და სხვა პრაქტიკული გამოწვევები.

სამუშაო სესიის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესების შესაძლო გზებზე. შეხვედრაზე ასევე განიხილეს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეული ექსპერტის, **რადოსლავ პროჩაჟკას** 2022 წლის რეკომენდაციები.

განხილვა შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული პრაქტიკის გადასინჯვა, ძალადაკარგული ნორმების კონსტიტუციურობის შეფასების სტანდარტები, სამართალწარმოების ეფექტიანობის ხელშემშლელ ფაქტორებზე რეაგირება და პრაქტიკული გადაწყვეტების მოძებნა.

სამუშაო შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობას და იმ მიდგომებს, რისი გამოყენებაც სასამართლოს შეუძლია გარე დამკვირვებლებისთვის ლაკონურად და ცხადად ინფორმაციის მისაწოდებლად.

საკონსტიტუციო სასამართლოს რვა მოსამართლე, მათ შორის თავმჯდომარე **მერაბ ტურავა** მონაწილეობდა სამუშაო შეხვედრაში მოსამართლეთა თანაშემწეებთან, სამართლებრივი დეპარტამენტის გუნდთან და საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა დეპარტამენტების წარმომადგენლებთან ერთად.

ქუთაისის ჰაბი საქართველოში ბავშვთა უფლებების შესახებ შეხვედრა გამართა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ქუთაისის ჰაბმა და იურიდიული დახმარების სამსახურმა გამართეს დისკუსია ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელშიც 50-ზე მეტი სამართლის ექსპერტი მონაწილეობდა, მათ შორის მოსამართლეები, ადვოკატები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და უნივერსიტეტის სტუდენტები.

დისკუსიის დროს ძირითადი აქცენტი გამახვილდა ბავშვის უფლებაზე, გაზიარებულ იქნა სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცედურები, რაც ხაზს უსვამს საქართველოში მოქმედ საპროცესო ნორმებში არსებულ ხარვეზებს. ეს წესები გადამწყვეტ როლს თამაშობს, მოსამართლეების მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პროცესში.

მომხსენებლებს შორის იყვნენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, **ციცინო კიკვაძე,** USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეული ამერიკელი მოსამართლე, **პეგი უოლკერი,** იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, **თამარ ობოლაძე,** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი და ყოფილი მოსამართლე, **ია**

შვანგირაძე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელი, **დარინა სალდაძე.**

მონაწილეებმა მოისმინეს მოსაზრებები ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე. ღონისძიებაზე განხილული ერთ-ერთი საყურადღებო მაგალითი იყო, ამერიკული სისტემის მიერ მიღებული ყოვლისმომცველი მიდგომა. ამ მიდგომით, მოსამართლეები, ჩართულ მხარეებთან ერთად, თავიდანვე ადგენენ საქმის სამოქმედო გეგმას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად. გეგმა მოიცავს ორ ძირითად ასპექტს: პირველი, ბავშვის ოჯახში დარჩენის შესაძლებლობას; მეორე, თუ საწყისი ნაბიჯი წარუმატებელი აღმოჩნდა, განიხილება ისეთი ალტერნატივა, როგორიც არის მუდმივი მეურვეობა ან შვილად აყვანა. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ბავშვის მომავლის განსაზღვრას და გადაწყვეტას, რაც მინიმუმამდე ამცირებს გაურკვევლობას.

სემინარი მოსამართლეებისთვის - სასამართლო დარბაზში ქალებთან ეფექტური კომუნიკაციის შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით თბილისში გაიმართა სემინარი მოსამართლეებისთვის, სასამართლო დარბაზში ქალებთან ეფექტური კომუნიკაციის შესახებ. სემინარს ესწრებოდა 14 ქალი მოსამართლე სამართლის უზენაესობის პრაქტიკის ჯგუფებიდან, მათ შორის ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრები.

სემინარს უძღვებოდა ექსპერტი ფსიქოლოგი **ქეთი თავართქილაძე,** რომელმაც სასამართლო დარბაზში მყოფი ქალებისა და მოსამართლეების წინაშე არსებული უნიკალური გამოწვევები განიხილა. მან ისაუბრა ქალთა უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე სასამართლო პროცესის განმავლობაში, მათ შორის

მათი თანასწორობის უფლების უზუნველყოფის, მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან უთანასწორო მოპყრობაზე რეაგირებისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლების ჩათვლით.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კონკრეტულ გამოწვევებზე, რომლებსაც მოსამართლეები აწყდებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან და სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებთან ურთიერთობისას. ტრენერმა ხაზი გაუსვა ტრავმის შესახებ ინფორმირებული მიდგომის და პატივისცემის გამომხატველი და ინკლუზიური ენის გამოყენების მნიშვნელობასაც.

17 ივნისს გამართულ შეხვედრაზე, მოსამართლეებმა განიხილეს სასამართლო პროცესში ჩართულ მხარეებთან კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიები, ხაზი გაუსვეს მოსამართლის მხრიდან მოთმინების, არაგამკიცხავი დამოკიდებულების და ღიაობის ჩვენების მნიშვნელობას. მათ ასევე ისაუბრეს საკუთარ თავში მიკერძოების ამოცნობისა და მასთან გამკლავების მნიშვნელობასა და მხარეთა კულტურული მიკუთვნებულობის მიმართ მგრძნობიარე მიდგომის აუცილებლობაზეც.

სამცხე-ჯავახეთში მენტორობის მისია დაიწყო

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის სამოსამართლეო გამოცდილების გაზიარების მისია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ივნისის შუა რიცხვებში დაიწყო. 13 ივნისს, ამერიკელი მოსამართლე, **თომ ბალანდი** სამცხე-ჯავახეთში მენტორობის პროგრამის მისიის დასაწყებად ჩავიდა.

მოსამართლე ბალანდი მჭიდროდ ითანამშრომლებს ახალციხისა და ახალქალაქის რაიონულ სასამართლოებთან, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მაგისტრატ სასამართლოებთან, ახალციხის უნივერსიტეტთან და იურიდიული დახმარების სამსახურთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკელი მოსამართლე თავის გამოცდილებას გაუზიარებს ადგილობრივ მოსამართლეებს, ადვოკატებსა და სამართლის სტუდენტებს, ეწვევა სასამართლო სხდომებს და გამართავს როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსამართლეებთან, სასამართლოს თანამშრომლებთან, იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებთან, კერძო ადვოკატებთან და სამართლის სტუდენტებთან. მოსამართლე ბალანდი სამცხე-ჯავახეთში აღნიშნული საქმეს ოქტომბრის შუა რიცხვებამდე შეასრულებს.

ახალციხეში ყოფნის პირველ დღეს, ახალციხის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე ბალანდის მონაწილეობით საქმიანი შეხვედრა გაიმართა. სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, **ანაიტ ოგანესიანი,** მოქმედი მოსამართლეები და სასამართლოს თანამშრომლები შეხვდნენ ამერიკელ კოლეგას. შეხვედრაზე გამართული დისკუსია მოიცავდა მენტორობის მისიის მიზნებს, მნიშვნელობას და მოსალოდნელ შედეგებს საქართველოს სასამართლო სისტემისთვის.

მეორე დღეს ამერიკელი მოსამართლე ახალციხის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, **დავით ხობელიას** შეხვდა. შეხვედრისას დეკანმა ხაზი გაუსვა, რომ ადგილობრივ სტუდენტებს შორის გაავრცელა ინფორმაცია ამერიკელი მოსამართლის ვიზიტის შესახებ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტების თვითმმართველობის ორგანოებში. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო სემესტრი უკვე დასრულებული იყო, სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი შეხვედროდნენ ამერიკელ მოსამართლეს და მონაწილეობა მიეღოთ მოსამართლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

ქართველი მოსამართლეები ღირებულ გამოცდილებას იძენენ აშშ-ს სასამართლოებში მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა მხარს უჭერს საქართველოს სასამართლო სისტემას მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის ხელშეწყობითა და საქართველოს მოსამართლეებისთვის აშშ-ს სასამართლოების საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის მეშვეობით.

ამ ინიციატივის ფარგლებში სამი სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განმხილველი მოსამართლე მივლინებულ იყო აშშ-ს სხვადასხვა სასამართლოში ორი კვირით. ისინი მუშაობდნენ ამერიკელ კოლეგებთან და აკვირდებოდნენ სასამართლო პროცესებს. მივლინებები, რომლებიც ივნისში განხორციელდა, ორიენტირებული იყო თითოეული მოსამართლის ინტერესის სფეროზე, რასაც პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პარტნიორმა ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივამ.

ნინო გერგაული, პირველი ინსტანციის მოსამართლე გორის რაიონული სასამართლოდან, მივლინების ფარგლებში ფოკუსირებულ იყო ბავშვთა უფლებებისა და საოჯახო სამართლის საკითხებზე და განთავსებულ იმყოფებოდა ლეინის საგრაფოს საოლქო სასამართლოში (ქ. იუჯინი, ორეგონის შტატი). იგი 30-ზე მეტ სასამართლო სხდომას დაესწრო ისეთ საქმეებზე, როგორიცაა: შემაკავებელი და დამცავი ორდერები, არასრულწლოვანთა მონაწილეობით გამართული სხდომები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ოჯახური ძალადობა, საპროცესო შეთანხმებები და ბავშვის ნახვისათვის განკუთვნილი დღეების განსაზღვრის საქმეები.

მივლინების დროს, **ბესარიონ ტაბაღუას,** თბილისის საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის მოსამართლეს, საშუალება ჰქონდა ყოველდღიურად დაკვირვებოდა ხუთ-ექვს სასამართლო სხდომას ჰენეპინის საგრაფოს საოლქო სასამართლოში (ქ. მინეაპოლისი, მინესოტას შტატი).

„ეს შესაძლებლობა ღირებული გამოცდილებისა და ცოდნის მიღების საშუალებაა, რომელსაც წარმატებით გამოვიყენებ ჩემს პროფესიულ და აკადემიურ საქმიანობაში,“

– აღნიშნა მან.

მოსამართლე ტაბაღუა ასევე ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული სამართლებრივი სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული სისტემისგან, განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის სფეროში, ქართულ სისტემას მაინც შეუძლია აშშ-სგან სასარგებლო პრაქტიკა გაიზიაროს.

„დავესწარი მხარეთა არგუმენტების მოსმენას საკასაციო საჩივრებთან დაკავშირებით. მქონდა პატივი შევხვედროდი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, და ერთადაც განვიხილეთ ამერიკის და საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მსგავსება-განსხვავებები სახელშეკრულებო სამართლის ცალკეულ საკითხებზე, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესო და ბევრის მომცემი იყო. ასევე, ვესტუმრე მინესოტას სამართლის სკოლას, სადაც დავესწარი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვას. გარდა ამისა, მონაწილეობა მივიღე ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეების ფიცის დადების ცერემონიაში, რამაც ჩემში დადებითი ემოციები გამოიწვია და თავი იქაურობის სრულფასოვან წევრად მაგრძნობინა.“

– განაცხადა **მოსამართლე ტაბაღუამ** შთაბეჭდილებების გაზიარების დროს.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს პირველი ინსტანციის მოსამართლე **ბადრი ნიპარიშვილი** მივლინებაში მონტგომერის საგრაფოს საოლქო სასამართლოში, როკვილში, მერილენდის შტატში იმყოფებოდა. იგი 20-ზე მეტ პროცესს დაესწრო და შესაძლებლობა მიეცა ამერიკელ კოლეგა მოსამართლეებთან საოჯახო დავების განხილვისას მათი მიდგომებისა და ტექნიკის შესახებ დისკუსია გაემართათ.

„ვიზიტმა მომცა მეტი საშუალება გადამეფასებინა სხდომათა დაგეგმვის და წარმართვის საკითხები, განსაკუთრებით საოჯახო საქმეებზე. ბავშვების ჩართულობა სასამართლო განხილვებში მაქსიმალურად შემცირებულია, ისევე როგორც, დამატებითი აქტორების (ფსიქოლოგი და ა.შ.). აღსანიშნავია, პროცედურების სიმარტივე საქმეთა გადაწყვეტის დროს. უმეტეს შემთხვევებში, საქმეებზე გადაწყვეტილების მიღება ხდება ერთ სასამართლო სხდომაზე, რაც ხელს უწყობს საქმეთა განხილვის სისწრაფეს. ასევე მოსამართლე კონცენტრირებულია ერთ საქმეზე, რაც მნიშვნელოვანია საქმის ეფექტიანი განხილვისთვის. აშშ- ში დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოების დასწრებას სასამართლო სხდომებზე. ამიტომ ყველა სხდომა, მათ შორის, სექსუალური ძალადობის საქმეებზეც კი იყო ღია. საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე კი მოქალაქეებს აქვთ სხდომის დარბაზში შესვლის შეუზღუდავი შესაძლებლობა“

– აღნიშნავს **მოსამართლე ნიპარიშვილი.**

ქალთა უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფების ერთობლივი შეხვედრა სასამართლოში გენდერული სტერეოტიპებისა და სექსისტური გამოხატვის შესახებ

თბილისში გაიმართა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ქალთა უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფების წევრების ერთობ-

ლივი შეხვედრა, სასამართლოში საქმის განხილვის დროს გენდერული სტერეოტიპების, მათი გავლენის და სექსისტურ გამოხატვაზე რეაგირების ღონისძიებების შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს გენდერული სტერეოტიპების და გენდერული სტერეოტიპირების რაობაზე, მათი იდენტიფიცირების გზებზე და მათთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებზე.

„გენდერული სტერეოტიპირება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის მიზეზია და თავად წარმოადგენს დისკრიმინაციას“ - აღნიშნა ადამიანის უფლებათა ექსპერტმა, **ქეით ლევინმა** (European Human Rights

Advocacy Center (EHRAC)) გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (UN CEDAW) შესაბამისი გადაწყვეტილებების ანალიზის დროს.

დისკრიმინაციის აკრძალვის სამართლის ფარგლებში საკითხის გაანალიზებისას განიხილეს აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

პრაქტიკა და ხაზი გაუსვეს იმ თავისებურებებს, რაც ახასიათებს გენდერულ სტერეოტიპებზე სასამართლოს მსჯელობას, დისკრიმინაციის სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით.

შეხვედრაზე მონაწილე მოსამართლეებმა ვრცლად იმსჯელეს საკუთარ გამოცდილებებზე, როდესაც თავად ისინი, როგორც ქალი მოსამართლეები, დაექვემდებარნენ განსხვავებულ მოპყრობას გენდერული სტერეოტიპების გამო. მათ აგრეთვე ერთმანეთს გაუზიარეს ის მეთოდები, რასაც იყენებენ სასამართლო დარბაზში წესრიგის შენარჩუნების და ქალთა უფლებების დასაცავად, თუმცა იმგვარად, რომ მეორე მხარისთვის ეს მიკერძოებად არ იქნეს აღქმული.

შეხვედრის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა აგრეთვე სექსისტური გამონათქვამების საკითხი, განსაკუთრებით ადვოკატების გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, მასზე რეაგირების პროპორციული ზომები და მექანიზმები და ადვოკატთა ეთიკის როლი ამ პრობლემის აღმოფხვრისთვის.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნიდერლანდებში მნიშვნელოვანი სასწავლო ვიზიტი დაასრულა

„მინდა, მადლობა გადავუხადო USAID სამართლის უზენაესობის პროგრამას და ამერიკელ ხალხს შესაძლებლობისათვის, მონაწილეობა მიმეღო ამ შესანიშნავ პროგრამაში. ნიდერლანდებში ვიზიტი ჩემთვის, როგორც მოქმედი მოსამართლის და პროფესორისთვის, სასარგებლო გამოცდილება იყო. ამ გამოცდილებას კი, რა თქმა უნდა, ისევ ჩვენს სტუდენტებს და საზოგადოებას მოვახმარ.“

– განაცხადა გორის რაიონულმა სასამართლომ მოსამართლე **ლევან დარბაიძემ,** რომელმაც ახლახან დაასრულა ნიდერლანდებში ვიზიტი (2-15 ივლისი).

ქალაქ ლეიდენში ყოფნის პერიოდში მოსამართლე, დარბაიძემ გაიარა ყოვლისმომცველი სასწავლო კურსი ბავშვთა საერთაშორისო უფლებების მიმართულებით ლეიდენის უნივერსიტეტში.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, მოსამართლე დარბაიძეს ეწვია ლეიდენის და ჰაგის სასამართლოებს, დაესწრო სასამართლო პროცესებს, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და საოჯახო სამართლის მიმართულებით, ჰქონდა შეხვედრები მოსამართლეებთან და სასამართლოს თავმჯდომარეებთან, რის შედეგადაც მან ნათლად დაინახა კოლეგა-მოსამართლეების ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, იგი გაეცნო იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა მეგობრული გარემოს შექმნას ნიდერლანდების სასამართლოებში, როგორიცაა თანამედროვე სასამართლო დარბაზები, მოსამართლეთა საერთო სამუშაო ოთახები, სასამართლოებში გამართული სრულად ელექტრონული სასამართლო პროცესები და თანამედროვე ევროპული სივრცეები, რომლებიც შექმნილია ბავშვების მსხვერპლისა და მოწმეების დაკითხვისთვის. ასევე მან მოინახულა ბავშვთა სარეაბილიტაციო დაწესებულებები.

„საინტერესო შეხვედრები მქონდა ლეიდენის ბავშვთა უფლებების სახლში, სადაც ამ სფეროში მომუშავე მკვლევარებთან ნამდვილად საინტერესო დისკუსიები გაიმართა. გარდა ამისა, შევხვდი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართულ სხვა პროფესიონალებსაც, კერძოდ, პროკურორებს, სოციალურ მუშაკებს და ფსიქოლოგებს, რომლებთანაც ვისაუბრეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თანამედროვე გამოწვევებსა და პერსპექტივებზე. აღნიშნული ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.“

– აღნიშნა **მოსამართლე დარბაიძემ.**

სასამართლო პროცესებზე ბავშვების უფლებების დაცვა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ ბავშვთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრების შეხვედრა გამართა. შეხვედრის მთავარი თემა იყო ბავშვებთან დაკავშირებული საქმეების საჯაროდ განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და საქმის მასალების განსაჯაროება. საკითხებზე მსჯელობა გაიმართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და აშშ-ს სასამართლოების მიდგომების გათვალისწინებით.

შეხვედრაზე რამდენიმე სესია, რომელიც ეძღვნებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს საქმის ღიად და საჯაროდ განხილვის უფლებასთან დაკავშირებით ჩაატარა ადამიანის უფლებათა ადგილობრივმა ექსპერტმა, **ლევან მაისურაძემ.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, **ნინო ბაქაქურმა** და რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, **ნატა თედეშვილმა** აგრეთვე გაუზიარეს მონაწილეებს საკუთარი გამოცდილებაზე დაფუძნებული მოსაზრებები გადაწყვეტილებების საჯაროობასთან და ბავშვის ინტერესების დასაცავად დაშვებულ გამონაკლისებთან დაკავშირებით.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში მოწვეულმა ამერიკელმა მოსამართლემ და ბავშვის უფლებათა ექსპერტმა, **პეგი უოლკერმა** ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე და უპასუხა კითხვებს აშშ-ს სამართლის საფუძველზე. მან ღირებული ინფორმაცია მიაწოდა შეხვედრის მონაწილეებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მოსამართლეებმა, სოციალურმა მუშაკებმა და სხვა პროფესიონალებმა კოორდინირებულად და იდენტური სტანდარტებითა და მიდგომებით, რათა დაიცვან საქმეში ჩართული ბავშვების ინტერესები.

შეხვედრის ბოლოს, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, **ლევან დარბაიძემ** კოლეგებს გაუზიარა ნიდერლანდებში სასწავლო ვიზიტიდან მიღებული გამოცდილება, სადაც USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით იმყოფებოდა.

მოსამართლეების მესამე სასწავლო ვიზიტი ამერიკაში

ბავშვის უფლებებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრაქტიკის ცოდნის გასაღრმავებლად, პირველი და მეორე ინსტანციის სამოქალაქო, ადმინისტრაციული და მაგისტრატი მოსამართლეების მესამე ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო სასწავლო ვიზიტში, აშშ-ს აღმოსავლეთ ნაწილში.

10 დღიანი სასწავლო ვიზიტის მონაწილეები (18-28 სექტემბერი) გაეცნენ თუ როგორ ფუნქციონირებენ აშშ-ს სასამართლოები და ორგანიზაციები, რამაც ხელი შეუწყო მოსამართლეთა კვალიფიკაციის გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა: არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესში მონაწილეობა, ბავშვთა უფლებების დაცვა სასამართლო სხდომაზე, განქორწინების შემდეგ მშობლების მიერ ბავშვის მონახულების ვადების რეგულირება და არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. დამატებით, მოსამართლეები გაეცნენ აშშ-ს სასამართლო პრაქტიკას ისეთ საკითხებში, როგორიცაა საქმეთა ნაკადის მართვა და ხალხზე ორიენტირებული მართლმსაჯულება.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ABA ROLI-სთან (ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა) პარტნიორობით განხორციელებული მესამე სასწავლო ვიზიტის მონაწილეები იყვნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ბოლნისის რაიონული სასამართლოს, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლეები. დელეგაციას ასევე თან ახლდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო კოლეგიაში მომუშავე მოსამართლის თანაშემწე.

მანანა ნიკაჭაძე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე:

„აშკარა განსხვავებების არსებობის მიუხედავად, საქართველოს კონტინენტურ სამართალსა და ამერიკის პრეცედენტული სამართლის სისტემებს შორის, მათ საერთო მიზანი გააჩნიათ - ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა. ჩვენთან თუ ბავშვის მოსმენა სასამართლოში სავალდებულოა, აშშ-ს ამ ქალაქების არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლეს ამის უფლებამოსილება აქვს და არა ვალდებულება. ე.წ. სპეციალიზებული არასრულწლოვანთა სასამართლოების არსებობა პრაქტიკის

უკეთესობისკენ ცვლილების ერთ-ერთი საწინდარია. აღსანიშნავია, რომ ბავშვის განცალკავებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე. აქტიურად გამოიყენება მხარეებთან ვიდეოკომუნიკაცია. კარგი იქნება, თუკი ასეთი სპეციალიზებული არასრულწლოვანთა სასამართლოები საქართველოშიც შეიქმნება.“

მანანა მესხიშვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე:

“მნიშვნელოვანი იყო, რომ შევხვდით ბავშვთან დაკავშირებულ საქმეების განხილვაში ჩართულ სხვადასხვა მონაწილეებს, რამაც შესაძლებლობა მომცა სხვადასხვა პერსპექტივიდან დამენახა აშშ-ში არსებული სისტემა. ვფიქრობ, ჩემს სამოსამართლო პრაქტიკაში ყველაზე მეტად გამოვიყენებ ბავშვთან გასაუბრების თავისებურებების შესახებ მიღებულ ინფორმაციას.“

ვლადიმირ ხუჭუა, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე:

„საინტერესო იყო ემორის უნივერსიტეტში გამართული შეხვედრა, სადაც ყოფილმა მოსამართლეებმა და პროკურორებმა, რომლებიც კომპლექსურად და სისტემურად სწავლობენ ბავშვის უფლებებს, წარმოადგინეს პრობლემული საკითხები და მათი გადაჭრის სავარაუდო გზები.“

თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწემ, **თამარ წერეთელმა,** მისთვის საინტერესო საკითხებს გამოჰყოფს, კერძოდ:

„პრინციპი one family, one judge - რომლის მიხედვით სასამართლო სისტემა ცდილობს, რომ ერთი ოჯახის ფარგლებში წარმოშობილი დავები, განსახილველად გადასცეს ერთსა და იმავე მოსამართლეს, რომელიც უკვე ფლობს ინფორმაციას ამ ოჯახთან დაკავშირებული წარსული დარღვევებისა, თუ დავების შესახებ. ასევე საინტერესო იყო პრინციპი no case about me, without me - რომლის მიხედვით, სასამართლო ყოველთვის ცდილობს ბავშვთან დაკავშირებული საკითხი გადაწყვიტოს ბავშვის უშუალო მონაწილეობით და მისი მოსაზრების მოსმენის საფუძველზე. დუგლასის საგრაფოს მოსამართლეებთან შეხვედრის ერთ–ერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენდა ალიმენტის იძულებითი გადახდის მექანიზმები. ვფიქრობ ასეთი ქმედითი მექანიზმების ქართული სამართლის სისტემაში დანერგვა აუცილებელია, ვინაიდან არსებული მდგომარეობით, თუკი მშობელს უნაღდო ანგარიშსწორებით არ ერიცხება ხელფასი, მისი ამოღების სხვა საშუალება პრაქტიკულად არ არსებობს.“

ქეთევან კუჭავა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე:

„ჩემთვის როგორც მოქმედი მოსამართლისათვის, ყველაზე საინტერესო იყო და გამოვყოფდი სასამართლო პროცესებზე დასწრების ნაწილს, როდესაც ვაკვირდებოდით მოსამართლის დარბაზთან კომუნიკაციას, სხდომის წარმართვის უნარებს, სადაც იგრძნობოდა პროცესის მონაწილეთა მხრიდან სასამართლოს მიმართ ნდობა და მისი გადაწყვეტილების პატივისცემა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ არასრულწლოვანი საქმეში არ იღებს მონაწილეობას, თუკი ეს აუცილებელი არ არის გადაწყვეტილების მისაღებად, მხარეებს შორის არსებობს კონფლიქტი ან ბავშვის წარმომადგენლის პოზიცია აშკარად ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესების განხორციელებას.“

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა მხარს უჭერს საქართველოს სასამართლო სისტემას მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამების მეშვეობით, მათ შორის, ამერიკელ მოსამართლეთა საქართველოს სასამართლოებში დროებითი განთავსებითა და პირიქით, ქართველ მოსამართლეთა აშშ-ს სასამართლოებში ვიზიტებით, სადაც ისინი სიღრმისეულად გაეცნობიან აშშ-ს საუკეთესო პრაქტიკას.

მოსამართლე **ჰეგი უოლკერი** საქართველოში USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში ჩამოვიდა. ის პროცესებს სამი თვის განმავლობაში ქუთაისის საქალაქო, ზესტაფონისა და სამტრედიის რაიონულ სასამართლოებში ესწრებოდა და თავის გამოცდილებას ქართველ მოსამართლეებს უზიარებდა.

“ჩემთვის ძალიან დიდი პატივია საქართველოში ყოფნა, იქიდან გამომდინარე, რომ ამ პროგრამაში პირველი ქალი მოსამართლე ვარ. აშშ-ს სასამართლოებში არცთუ ისე ბევრი ქალი მოსამართლეა მაღალ პოზიციებზე. ერთ-ერთი აღმოჩენა აქ ყოფნისას არის ის, რომ საქართველოში საკმაოდ

ბევრი ქალი მოსამართლე გყავთ და მოხარული ვიქნები, თუ მათ უფრო მაღალ, ხელმძღვანელ პოზიციებზე ვიხილავ."

„რაც უფრო ფერხდება მართლმსაჯულება, მით უფრო რთულია მისი აღსრულება. შესაბამისად, დაგროვილი საქმეების შესამცირებლად, ძალიან მნიშვნელოვანია, იურისტები, მოსამართლეები და საზოგადოების წევრები ერთად მუშაობდნენ."

მოსამართლე **ჯოზეფ ბელიპანიმ,** თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა მოსამართლეებთან ექვსი თვის განმავლობაში იმუშავა. იგი ესწრებოდა პროცესებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს მართავდა ქართველ მოსამართლეებთან და ამერიკული იურისპრუდენციის მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე აწვდიდა ინფორმაციას.

„შემიძლია გითხრათ ის, რაც დავინახე — იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც გულმოდგინედ მუშაობდნენ და ძალიან კარგ საქმეს აკეთებდნენ. ნებისმიერ საქმეში ყოველთვის არსებობენ უკმაყოფილო ადამიანები. ამიტომ, რაც არ უნდა მოხდეს, საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ მოსამართლე განიხილავს საქმეს კანონსა და ფაქტებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ვიღაც მოიგებს, ვიღაც წააგებს."

„სისტემისადმი საზოგადოების ნდობა მოსამართლის შერჩევის არაპოლიტიკურ პროცესს ეყრდნობა. პროცესს, რომელიც პრიორიტეტს განათლებასა და სამართლიანობას ანიჭებს. სწორად ამის საფუძველზე სჯერა ხალხს მოსამართლეების და მათი სამართლიანობის. ასეთი სისტემის შემუშავება გადამწყვეტ როლს ასრულებს მართლმსაჯულების პროცესში."

მოსამართლე **ჯეიმს რედვაინი** ექვსი თვის განმავლობაში აკვირდებოდა სასამართლო პროცესებს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ასევე ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონულ სასამართლოებში. იგი ინდივიდუალურ შეხვედრებს ატარებდა ადგილობრივ მოსამართლეებთან, უძღვებოდა საინფორმაციო სესიებს სამართლის სტუდენტებთან და ესწრებოდა იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, რომლებსაც ახალგაზრდები ხელმძღვანელობდნენ.

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის მოქმედი დემოკრატიის პირდაპირი მაგალითი, ხოლო იმიტირებული სასამართლო საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაიგონ ამ დემოკრატიის მნიშვნელობა. ჩემი რჩევა იურიდიული განათლების დამწყებ საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის არის ის, რომ აუცილებელია დარწმუნდნენ ამ პროფესიის არჩევის სისწორეში. თუ თქვენ ხართ თავდადებული ადვოკატი ან თავდადებული მოსამართლე, გაქვთ მრავალი შესაძლებლობა, დაეხმაროთ ბევრ ადამიანს; შესაბამისად, დარწმუნდით, რომ გსურთ დაეხმაროთ ადამიანებს თქვენი ცხოვრებით, და თუ გსურთ დაეხმაროთ ხალხს, მაშინ იურიდიული პროფესია არის ნომერ პირველი ადგილი, სადაც შეგიძლიათ დაეხმაროთ ყველაზე მეტ ადამიანს.“

მოსამართლე **რობერტ ქაროლანმა,** USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მოწვევით საქართველოში ექვსი თვე გაატარა. ის რუსთავის საქალაქო და ქვემო ქართლის რაიონულ სასამართლოებში გრძელვადიანი მენტორობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სასამართლო სტრუქტურასა და საქმისწარმოების სისტემებს გაეცნო.

„ხანდახან ცხოვრება არაპროგნოზირებადია. ასეთივე არაპროგნოზირებადია გადაწყვეტილების მიღების პროცესი. არსებობენ მოსამართლეები, რომლებიც საკუთარ საქმიანობას ასე უდგებიან: „მაქვს ცარიელი ფურცელი, ვუყურებ და ვამბობ, რომ გადავწყვეტ ამ საქმეს. ჯერ არ ვიცი, საით წამიყვანს, მაგრამ ვიცი, რომ ფაქტებს დავეყრდნობი... ცნობისმოყვარეობა თუ არ გამოძრავებს, მოსამართლეც ვერ გახდები.“

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამაში მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობენ:

- **გიორგი ჩხეიძე** — პროგრამის ხელმძღვანელი
- **ნილ ვაინსტაინი** — პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე
- **ეკა ლომთათიძე** — მართლმსაჯულების რეფორმის მრჩეველი
- **ეკა ონიანი** — მართლმსაჯულების რეფორმის სპეციალისტი
- **თიმ ბუნიევაცი** — საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მრჩეველი
- **მარიამ გობრონიძე** — საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების კოორდინატორი
- **მამუკა მამაცაშვილი** — მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის კოორდინატორი
- **ნინო ბალანჩივაძე** — იურიდიული განათლების და ადვოკატთა რეფორმის მრჩეველი
- **მარიამ ვარდოსანიძე** — იურიდიული განათლებისა და ადვოკატთა რეფორმის სპეციალისტი
- **ირინა ხახუტაიშვილი** — რეგიონული ჰაბის იურისტი, ბათუმი
- **ანა შალამბერიძე** — რეგიონული ჰაბის იურისტი, ქუთაისი
- **მერი მახარაშვილი** — კომუნიკაციების მრჩეველი
- **ანა გორდულაძე** — უფროსი თანაშემწე

საკონტაქტო ინფორმაცია:

5 მარჯანიშვილის ქ., 0102
თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 250 54 04

ელ-ფოსტა: info.rolp@ewmi.org

ვებ-გვერდი: ewmi-ruleoflawgeo.org

ჩვენი სოციალური გვერდები: